# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 33

ქ. ხობი

1 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ **ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი** (შემდგომში „შემსყიდველი“) მისამართი: ქ. ხობი, სტალინის ქ. N12, საიდენტიფიკაციო კოდი **244690401** საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის **3478300000** . მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის **ხათუნა ხორავა-სერგიას** სახით და მეორეს მხრივ, **ა.ა.ი.პ. „ანიმაციის განვითარების ფონდის“** დირექტორი **ზურაბ დიასამიძე** (შემდგომში ,,მიმწოდებელი“), მისამართი ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ 14-31 საიდენტიფიკაციო კოდი **205230196** საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის N: **GE57BG0000000307967800** საქართველოს ბანკი. ბანკის კოდი **BAGAGE22**. მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის **ზურაბ დიასამიძის** სახით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1. ხელშეკრულების საგანია ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის ბიუჯეტის სახსრებით შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან განათლების ცენტრის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის წრის მოსწავლეებისათვის ვორქშოპი ანიმაციაში ჩატარების შესყიდვა.

2. **ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რაოდენობა, ერთეულის ან მთლიანი ღირებულება**

2.1 ვორქშოპი ანიმაციაში ჩატარების შესყიდვა (1000) ლარი

2.2 2,2კლასიფიკატორის კოდი 79900000.

2.3 *სულ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 1000( ერთი ათასი) ლარი.*

3. **შესასყიდი საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხი საჭიროების შემთხვევაში სტანდარტებთან შესაბამისობა**

3.1. სტანდარტებთან შესაბამისობით

4. **საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ეტაპობრივი ვადები და ადგილი**

2016 წლის 1 ივნისიდან 30 ივლისამდე

5. **საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 შესრულებული სამუშაოს აქტი.

6. **ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

6.1. უნაღდო ანგარიშწორებით.

7. **ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

7.1. ეს მექანიზმის ამ შემთხვევაში არ გამოიყენება

8. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8. 1. პირველი მხარე ვალდებულია დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება, მეორე მხარე ვალდებულია დროულად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება .

9. **მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვ**

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევისას უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

## 10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს

## 11. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 *ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ივლისამდე.*

## 13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1 ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით

## 14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ინსპექტირება განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან - ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სამსახური

მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

*ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის*

*განათლების ცენტრის“*

*დირექტორი----------ხ.ხორავა*

*ა.ა.ი.პ.,,ანიმაციის განვითარების ფონდი“-ს*

*დირექტორი----------ზ.დიასამიძე*

# მიღება ჩაბარების აქტი N49

## გაწეულ მომსახურებაზე

ქ.ხობი 1 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ ა.ა.ი.პ. ,,ანიმაციის განვითარების ფონდი" მისი წარმომადგენლი დირექტორის ზურაბ დიასამიძის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის დირექტორის ხათუნა ხორავა-სერგიას სახით, ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მ/წლის 1ივნისს პირველმა მხარემ მეორე მხარეს გაუწია შემდეგი სახის მომსახურება:

ანიმაციური ფილმების ფესტივალ,,ექო თოფუზის" ფარგლებში ვორქშოპი ანიმაციაში ორგანიზება და ჩატარება.

რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით:

პირველი მხარე: ზ.დიასამიძე.

მეორე მხარე: ხ.ხორავა-სერგია